საექსპერტო შეფასება



თომა ხიჯაკაძე

თბილისი 2025 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

- ქ.თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა N10. (01.19.14.003.227) საწყობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე, „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან.
- არქიტექტურული პროექტის წესებთან შესაბამისობის შეფასება მოხდა პროექტის მთავარი არქიტექტორის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.
- დოკუმენტაციის სისწორეზე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი.
- საექსპერტო შეფასების ავტორი პასუხისმგებელია მხოლოდ არქიტექტურული პროექტის წესებთან შესაბამისობის დადგენაზე.
- არქიტექტურული პროექტის ცვლილება, რომელიც შეუსაბამოა საექსპერტო დასკვნის პირობებთან უნდა შეთანხმდეს ექსპერტთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საექსპერტო დასკვნის განახლება. ექსპერტის შეუთანხმებლად არქიტეტურული პროექტის შეცვლის შემთხვევაში საექსპერტო შეფასება ავტომატურად კარგავს ძალას.
- სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად კვალიფისიური სპეციალისტების მიერ.

პროექტის აღწერა:

- ***დაგეგმარების საფუძვლები და მიზნები:***

- საპროექტო სამუშაოები განხორციელებულია სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N7394300 27.02.2025 წლის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე.

- ***საპროექტო მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:***

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისში, ნოდარ სიგუას N10. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება ქუჩა, ხოლო დანარჩენ გვერდებზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. ნაკვეთი 2890 კვ.მ. ფართობისაა და ამონაწერის მიხედვით არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულება გააჩნია.

- ***საპროექტო ობიექტის სტრუქტურისა და მოცულობით-სივრცითი დაგეგმარების აღწერა:***

პროექტი ითვალისწინებს მიწის დონიდან 5.90 მ. სიმაღლის საწყობის მშენებლობას. შენობის კონსტრუქციული სართულიანობა არის ერთი მიწისზედა სართული.

შენობის ყველაზე მაღლა მდებარე დაკავებული იატაკი, +0.00 მ.-ზე მდებარეობს. აქედან გამომდინარე შენობა არ ხვდება მაღლივ კატეგორიაში.

დასაშენებელი სართულის კონსტრუქციული სტრუქტურა რკინის კარკასია. შემავსებლად გამოიყენება სენდვიჩ პანელი. სახურავი ორქანობიან თბო და ჰიდროსაიზოლაციო ფენილების ერთობლიობას წარმოადგენს.

- ***ნულოვანი ნიშნულის განსაზღვრა:***

+0.00 ნიშნული განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად მიწისპირა სართულის კონსტრუქციული იატაკის ზედაპირზე და გათვალისწინებულია მიწის პირის დონეზე. +0.00=535.03

- ***საპროექტო ობიექტის მხატვრულ-ესთეტიკური გადაწყვეტა:***

ფასადები მოეწყობა არქიტექტურული პროექტის შეასბამსად.

- ***საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია:***

o მექანიკური განიავების სისტემა ბუნებრივ განიავებასთან ერთად

o კვამლზე მოერაგირე მაუწყებელი;

• **საექსპერტო კვლევა:**

კვლევის შემადგენლობა: მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის №255 (31.05.2019) დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით განსაზღვრული საექსპერტო შეფასება გულისხმობს „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობას, სულ მცირე, შემდეგი ნაწილების მითითებით:

1. **დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება.**
2. **კონსტრუქციის ტიპების შეფასება.**
3. **სიმაღლისა და ფართობის შეფასება.**
4. **გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.**
5. **გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.**
6. **მისაწვდომობის შეფასება.**
7. **გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.**
8. **სახურავის ანაწყობების შეფასება.**
9. **ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.**
10. **ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.**
11. **წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.**
12. **ფასადებისადმი მოთხოვნების შეფასებას.**

N01 დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

დაკავებულობა:

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

1) მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ლითონის ნაკეთობების საწყობი) ±0.00 ნიშნულზე;

აღნიშნული შეესაბამება 311.3 ქვეთავს.

შენობაში არსებული თითოეული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის დაქტორზე, კერძოდ:

- საწყობისთვის (სწ-2) მიკუთვნებულია საწყობების სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია 46.5-ზე;

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

N02 კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციულ ტიპად განსაზღვრულია II-B ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

N03 სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- 503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული II-B ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები

სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. შენობის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი არ ცდება 503 ცხრილში მოცემულ ზღვარს.

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის +5.90 მეტრი, ხოლო ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს მიწის დონეზე.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

N04 გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

შენობის ყველა ფართს, დაკავებულობებიდან, დაკავებულობის დატვირთვებიდან, სართულიანობიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილები 1016.2 და 1021.2(2)) აკმაყოფილებს თითო გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია.

- შენობიდან გამოსვლა ხდება მიწის დონეზე საიდანაც საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად;

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

N05 გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

- ყველა კარის (რომელიც არის გასასვლელი საშუალების ნაწილი/კომპონენტი) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს;

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

N06 მისაწვდომობის შეფასება:

- შენობის ყველა მთავარი შესასვლელი არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს. შენობაში შესვლა-გამოსავლა ხდება მიწის დონიდან საიდანაც საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად;

- შენობებში განთავსებულია მისაწვდომი ტუალეტები;

- გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც სწორად არის განსაზღვრული და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

N07 გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- შენობის გარე კედლების ცეცხლედეგობის ხარისხი და ღიობების დასაშვები რაოდენობების მოთხოვნები, რომელიც 602 და 705.8 ცხრილებშია მოცემული დაცულია.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

N08 სახურავის ანაწყობების შეფასება:

- 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (II-B ტიპი) გამომდინარე სახურავის კოსტრუქციას არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობა.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

N09 ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან (II-B) გამომდინარე შენობის ძირითად სტუქტურულ ჩარჩოს, მზიდ კედლებს, იატაკის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს არ მოეთხოვებათ ცეცხლმედეგობა (ცხრილი 601), დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნის მოთხოვნები, რაც 508.4 ცხრილში საათების მიხედვითაა დადგენილი დაცულია.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

N10 ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- 903 ქვეთავის თანახმად შენობას არ მოეთხოვება ავტოსაშხეფი სისტემით უზრუნველყოფა.

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

1) შენობაში საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფები 907.4.2 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
2) 907.4.3 ქვეთავის მიხედვით საჭიროა კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;

- 906 ქვეთავის შესაბამისად გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება;

შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით.

შენიშვნა: სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA -ის სტანდარტების შესაბამისად (რომლების ეხება სისტემების დაგეგმარებას) და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2-912.5 ქვეთავების მოთხოვნებს (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

N11 წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12. ფასადებისადმი მოთხოვნების შეფასება:

პროექტი აკმაყოფილებს მე-14 და მე-15 თავებს, რომელიც აწესებს გარე კედლების საფრის, ღიობების, გარე ფანჯრისა და კარების, არქიტექტურული გაფორმების, აივნებისა და მსგავსი ნაშვერების მინიმალურ მოთხოვნებს. აგრეთვე არეგულირებს სახურავზედა ნაგებობების დაგეგმარების მასალების, მშენებლობისა და ხარისხის სტანდარტებს.

ფასადებთან დაკავშირებით მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

დასკვნა

ქ.თბილისში, ქ.თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა N10. (01.19.14.003.227) ლითონის ნაკეთობების საწყობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან. აქედან გამომდინარე:

პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

საექსპერტო შეფასების შემდგენი თომა ხიჯაკაძე

14.04.2025 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, ნოდარ სიგუას ქუჩა №10 (ს/კ 01.19.14.003.227) დაპროექტებული ლითონის საწყობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო დასკვნა ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომლობის ეროვნული სტანდარტები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ის შესაბამისობის ანალიზი მოიცავს შემდეგი პარამეტრების შეფასებას:

მისაწვდომი სვლაგეზი :

- მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები
- თითოეული კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები.

ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:

- მისაწვდომი სვლა გეზი
- ფანჯრები

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები

- ნიშნები.

გამოკვლევა:

მისაწვდომი სვლაგეზი

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს,რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

   • იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას;

   • საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი;

   • იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა;

   • მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900მმს, ხოლო შენობის გარეთ-1200მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას;

   • სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს;

   • სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი ისგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს;

   • საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

   • მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას;

   • მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს;

• გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია;

• კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები:

1.საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

-ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

-ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2.ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
-უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

-უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

-უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

-უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

-უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3.ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
-ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

-ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები დაფუნქციები:

• მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებულ ყველა მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს;

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით;
- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს;
- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად;
- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა;
- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა;
- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად;
- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას;
- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს;
- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა;
- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს;
- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს;
- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს;

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა;
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს;
- მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

დასკვნა:

ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქალაქ თბილისსი, ნოდარ სიგუას ქუჩაზე №10 (ს/კ 01.19.14.003.227) დაპროექტებული ლითონის საწყობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომლობის ეროვნული სტანდარტები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების მოთხოვნებთან საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

საექსპერტო შეფასების შემდგენი **თომა ხიჯაკაძე**

14.04.2025 წ.

თბილისის მერია

MSDA მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

სერტიფიკატი

გადაეცემა

თომა ხიჯაკაძეს

მასზედ, რომ წარმატებით გაიარა ტრენინგი თემაზე
"სამშენებლო უსაფრთხოება და ადაპტირება"

ვახტანგ ჭედიშვილი
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე

ვაჟა კუხიანიძე
ტრენერი

10 აპრილი - 4 მაისი, 2018 წელი

პირადი ინფორმაცია

თომა ხიჯახაძე

პ/ნ 35001126635

დაბადების თარიღი 08.06.1993

Tomakhijakadze93@gmail.com

T 595 75 19 93

განათლება

1999-2011	ქ.რუსთავის №7 საჯარო სკოლა
2011-2015	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი -ბაკალავრის ხარისხი
2019-დღემდე	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი - მაგისტრანტი

კომპიუტერული პროგრამები

ArchiCaD AutoCad InDesign Adobe Illustrator Photoshop Lumion Word

ენები

ინგლისური	კარგად
რუსული	კარგად
ქართული	მშობლიური

სამუშაო გამოცდილება

2015 - 2021	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია სპეციალისტი – არქიტექტორი
2021 – დღემდე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მთავარი სპეციალისტი

შესრულებული პროექტები

2010	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი დიდ დიღომში
2011	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ლისზე
2012	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ლისზე
2012	ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი სამგორში
2013	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი შინდისში
2014	ინდივიდუალური ერთბინიანი 6 საცხოვრებელი სახლი საგურამოში
2014	მრავალბინიანი საცხოვრებელი ხალი
2015	სასტუმროს პროექტი ბაკურიანში

სერთიფიკატები

MSDA მუნიციპალური სერვისების სააგენტო

"სამშენებლო უსაფრთხოება და ადაპტირება"

ICAMP 40th Intenational Conference. ON THE TOP OF HISTORY- SITE MUSEUMS

“USG Alumni for Better Georgia”

“Pop-Up Space”

საქართველო
Georgia

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY

ბაკალავრის დიპლომი
BACHELOR'S DIPLOMA

ISU № 001806

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის
2015 წლის 30 ივლისის №9 გადაწყვეტილებით
By decision №9 of the School of Natural Sciences and Engineering
on this 30th day of July, 2015

თომა ხიჯაკაძეს
დაბადებულს 08.06.1993
Toma Khijakadze
Born on 08.06.1993

მიენიჭა

არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

რასაც ვადასტურებთ უნივერსიტეტის ბეჭდითა და ჩვენი ხელმოწერებით

was conferred

THE DEGREE OF BACHELOR OF ARCHITECTURE

in witness thereof our signatures and the seal of the University are affixed

გიგა ზედანია
Giga Zedania

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი LEPL ILIA STATE UNIVERSITY 204864970

დავით თარხნიშვილი
David Tarkhnishvili

რექტორი
Rector

დეკანი
Dean

რეგისტრაციის № 1396
Registration

თბილისი
Tbilisi

თარიღი 07.12.2015
Date

საქართველო

პასპორტი PASSPORT

Georgia

ტიპი / TYPE P

ქვეყნის კოდი / CODE OF STATE GEO

პასპორტის ნომერი / PASSPORT NO.
17AB009075



მეპარსი / SURNAME
ხიჯაკაძე / KHIJAKADZE

სახელი / GIVEN NAME
თომა / TOMA

მოქალაქეობა / CITIZENSHIP
საქართველო / GEORGIA



დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH
08 ივნ / JUN 1993

სქესი / SEX
მ / M

პირადი ნომერი / PERSONAL NUMBER
35001126635

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ხარაგაული / KHARAGAULI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
27 თებ / FEB 2018

მოქმედების ვადა / EXPIRY DATE
27 თებ / FEB 2028

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

მფლობელის ხელმოწერა / OWNER'S SIGNATURE

P<GEOKHIJAKADZE<<TOMA<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<
17AB009075GE0930608 2M2802275<<<<<<<<<<<<<<00